წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. **წაკითხულის გააზრების** ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.

   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

   სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

   თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

   არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. **ანალიტიკური წერის** ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.

   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.

   თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.

   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

I ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

I მითი არგონავტების ლაშქრობის შესახებ კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ფართოდ იყო ცნობილი ძველ ბერძნულ მწერლობაში. თუმცა ამ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების დიდი ნაწილი დღემდე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტის სახითაა მოღწეული. შედარებით სრულად ეს მითი გადმოცემულია ძვ. წ. VI-V საუკუნეების ბერძენი პოეტის, პინდარეს ოდასა და ძვ. წ. III საუკუნის პოეტის, აპოლონიუს როდოსელის პოემაში „არგონავტიკა“. აშკარაა, რომ მითს არგონავტების ლაშქრობის შესახებ უკვე იცნობდა ძვ. წ. VIII საუკუნის დიდი ბერძენი პოეტი ჰომეროსი. ამის უტყუარ მოწმობადაა მიჩნეული ის, რომ მის პოემაში „ილიადა“ მოხსენიებულია არგონავტების ლაშქრობის წინამძღოლი, იასონი, ხოლო „ოდისეაში“ – კოლხეთის მეფე აიეტი და მისი და, დედოფალი კირკე.

II მეცნიერთა წინაშე დიდი ხანია დგას შემდეგი საკითხი: არგონავტების მითი არის უბრალოდ ზღაპრული ამბავი, თუ ის გარკვეულწილად ირეკლავს შორეული წარსულის ისტორიულ სინამდვილეს?

III საზოგადოდ, მითის გამოყენება ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციისათვის უდიდეს სირთულეებთან არის დაკავშირებული. მითი ზეპირი გზით გადაეცემა თაობიდან თაობას და ჩვენამდე, უმეტესწილად, გვიანდელი დამატებებითა და პოეტურად გააზრებული ვერსიების სახით აღწევს. ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში წარმოდგენილი უძველესი მითები საკმაოდ ტრანსფორმირებულია და პირვანდელ საწყისთან შედარებით სახეცვლილი. ხშირია შემთხვევები, როდესაც მითში ერთმანეთთან გადაჯაჭვული და გაერთიანებულია სხვადასხვა ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტები, რელიგიური მსოფლმხედველობა და პოლიტიკური კონცეფციები. ამიტომ მითის ისტორიულ წყაროდ გააზრების შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა.

IV ეჭვი მითის ისტორიულ წყაროდ გამოყენების თაობაზე შეიძლება გაუჩნდეს იმას, ვინც არ იცნობს თეორიას ფორმულების შესახებ ხალხურ ეპიკურ პოეზიაში. *ფორმულა* არის ერთნაირად გარითმული, რეგულარულად გამოყენებული გამოთქმა მონათხრობის რომელიმე ძირითადი აზრის გადმოსაცემად. დადგენილია, რომ ფორმულა, ანუ სიტყვების სტანდარტული, უცვლელად განმეორებადი ჯგუფი, ზოგჯერ კი ტექსტის მთელი მონაკვეთი, ხშირად ისტორიული ინფორმაციის კონდენსატორისა და გადამცემის ფუნქციას ასრულებს. ჰომეროსის მიერ ძვ. წ. VIII საუკუნეში შექმნილი „ილიადა“ და „ოდისეა“ წერილობით დაფიქსირებული უზარმაზარი

ტექსტის გაგრძელება ->

ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობაა, რომელშიც პოეტური ფორმულების სახით დაკონსერვებულია ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების მიკენური ეპოქის უმთავრესი ისტორიული მოვლენები. ზეპირსიტყვიერი ფორმულებით წარმოდგენილ ჰომეროსისეულ მხატვრულ ტექსტებს ცალკეული გაქვავებული ფრაზების სახით ასეული წლების მანძილზე შემოუნახავს შორეული წარსულიდან მომდინარე უამრავი ცნობა მიკენური ცივილიზაციის, მათ შორის, ტროას ომის შესახებ. თანამედროვე მეცნიერება ამ ომს ისტორიულ ფაქტად მიიჩნევს და მას ძვ. წ. XIII საუკუნით ათარიღებს.

V ჰომეროსის პოემის, „ილიადას“ გმირები – ტროას ომის მონაწილენი – არგონავტთა შთამომავლები არიან. მაგალითად, ტროას ომში მებრძოლი აქილევსი პელევსის ძეა, რომელიც, თავის მხრივ, მონაწილეობას იღებდა არგონავტების ლაშქრობაში. ამ და კიდევ სხვა დეტალებშიც სავსებით აშკარაა ქრონოლოგიური და გენეალოგიური სისტემები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ არგონავტთა ლაშქრობა კოლხეთში ოქროს საწმისისათვის, ტროას ომის მსგავსად, განხორციელდა მიკენურ ეპოქაში, ოღონდ მის წინარე ხანაში. არგონავტთა მითს საფუძვლად უნდა დადებოდა მიკენური პერიოდის ზღვაოსანთა პირველი მოგზაურობა ძალზე შორეულ ქვეყანაში, სადაც მანამდე ხომალდით არავის გაუცურავს.

VI ცნობილია, რომ მითი, უმეტესწილად, ინახავს მოგონებას რაღაც ძალიან დიდი, განსაკუთრებული რეალური ამბისა თუ ისტორიული პიროვნების შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში. ეს არის ამბავი, რომელმაც ააღელვა საერთო-სახალხო ფანტაზია, რამაც შედეგად გამოიღო მისი ასახვა ზეპირსიტყვიერებაში. მაგალითად, ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ტროას ომი, რომელსაც შედეგად მოჰყვა ჯერ ზეპირსიტყვიერი მითოსური ციკლის ჩამოყალიბება მის შესახებ, ხოლო შემდგომში ლიტერატურული ნაწარმოებების – „ილიადასა“ და „ოდისეას“ – შექმნა. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება შუა საუკუნეებში ევროპაში მეფე კარლოს დიდის შესახებ შექმნილი ფრანგული ხალხური ეპოსი. არგონავტების გაცურვას შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ბერძენთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მიკენურ ეპოქაში, შემდეგ კი ეს თვალნათლივ გამოიკვეთა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში, როდესაც დაიწყო ძველ ბერძენთა კოლონიზატორული მოძრაობა, მათი განსახლება და ახალი აგრარული და სავაჭრო ქალაქების დაარსება შავიზღვისპირეთში. ამიტომაც ბერძნებმა იმთავითვე მიიჩნიეს არგონავტები საყვარელ გმირებად, შექმნეს მითოსური ციკლი მათ შესახებ და შემდგომ, საუკუნეების განმავლობაში, ჯეროვნად მიაგებდნენ პატივს მათ გმირობას, რომელიც ახალი საზღვაო გზების გაკვალვასა და ახალი ქვეყნების აღმოჩენაში გამოიხატებოდა.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ო. ლორთქიფანიძე, „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, 1986.

1. **რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

(ა) წარმოაჩინოს არგონავტების მითის კვალი ძველ ბერძნულ მწერლობაში.

(ბ) დაასაბუთოს არგონავტების მითის, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობა.

(გ) გამოკვეთოს ზეპირსიტყვიერების როლი ძველი ბერძნული მწერლობის ჩამოყალიბებაში.

(დ) წარმოაჩინოს აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც არსებობს მეცნიერებაში არგონავტთა მითის, როგორც ისტორიული წყაროს, შესახებ.

(ე) წარმოაჩინოს მითის, როგორც ისტორიული წყაროს განხილვის შესაძლებლობა არგონავტების მითის მაგალითზე.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ დასტურდება</u> პირველ აბზაცში?

(ა) ძველი ბერძნული მითოლოგიის ცნობილი სიუჟეტები ჩვენამდე, ზოგ შემთხვევაში, მხატვრული ტექსტების ფრაგმენტების სახითაა მოღწეული.

(ბ) ჰომეროსის პოემებში ნახსენები არიან პერსონაჟები არგონავტთა მითიდან.

(გ) ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ გადმოცემულია მითი არგონავტთა კოლხეთში გალაშქრების შესახებ.

(დ) ძველ ბერძნულ ლიტერატურაში არგონავტების მითი, უმეტესწილად, გალექსილი ფორმით არის წარმოდგენილი.

(ე) ჩვენამდე მოღწეულ ძვ. წ. VI საუკუნემდე შექმნილ არცერთ მხატვრულ ნაწარმოებში არგონავტების მითი სრულად არ არის გადმოცემული.

3. რის საილუსტრაციოდ არის ტექსტში მოყვანილი მაგალითები ტროას ომისა და მეფე კარლოს დიდის შესახებ?

(ა) უძველეს დროში ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სიუჟეტები ომებისა და გმირი მეფეების შესახებ.

(ბ) ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, უმეტესწილად, ასახულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენა თუ ისტორიული პირის ამბავი.

(გ) ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში გამორჩეული მოვლენები, საერთო-სახალხო ფანტაზიის წყალობით, ნამდვილ საგმირო ამბებად არის წარმოდგენილი.

(დ) ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშის შექმნისათვის ბიძგის მიმცემი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა თუ პირია.

(ე) ძველ დროში ზეპირსიტყვიერების ის ნიმუში იყო მიჩნეული საუკეთესოდ, რომელიც საერთო-სახალხო ფანტაზიას აღელვებდა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

4. რომელ აბზაცს შეავსებდა ფოლკლორის ცნობილი მკვლევრის, ვესელოვსკის სიტყვები: „ხალხური პოეზია თავისებური ისტორიული სამსჯავროა“?

(ა) I

(ბ) II

(გ) III

(დ) V

(ე) VI

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

5. რა თანამიმდევრობით არის ტექსტში წარმოდგენილი შემდეგი საკითხები:

A. მნიშვნელოვანი ისტორიული ამბების ასახვა მითებში.

B. არგონავტების მითი ძველ ბერძნულ მწერლობაში.

C. მითის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულე ისტორიული ამბების რეკონსტრუქციაში.

D. არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა მითებზე დაყრდნობით.

E. პოეტური ფორმულა, როგორც ისტორიული რეალობის კონსერვაციის საშუალება.

(ა) B, D, C, A, E

(ბ) C, B, E, D, A

(გ) A, C, E, B, D

(დ) B, C, E, D, A

(ე) D, B, E, A, C

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

6. რა ქრონოლოგიური მიმართებაა ტროას ომს, არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობასა და ჰომეროსის პოემებს შორის?

(ა) ტროას ომი და არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობა ჰომეროსის პოემათა თანადროულია.

(ბ) ტროას ომი, რომელიც ჰომეროსმა ამ ომიდან რამდენიმე საუკუნის შემდგომ აღწერა, არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის შემდეგ მოხდა.

(გ) ტროას ომი არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის თანადროულია, ხოლო ჰომეროსის პოემები გაცილებით გვიანაა შეთხზული.

(დ) არგონავტებმა კოლხეთში გაილაშქრეს ტროას ომის წინარე ხანაში, რომელიც, თავის მხრივ, ამ ომის თვითმხილველის, ჰომეროსის მიერ არის აღწერილი თავის პოემებში.

(ე) ტროას ომი მოხდა არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის წინარე ხანაში, ეს ორივე კი აღწერილია ჰომეროსის მიერ რამდენიმე საუკუნის შემდგომ.

7. რა არის IV აბზაცის მთავარი აზრი?

(ა) ჰომეროსის პოემებში პოეტური ფორმულები ხალხური ეპიკური ზეპირსიტყვიერებიდან არის გადმოსული.

(ბ) მეცნიერთა ნაწილისათვის არ არის ცნობილი თეორია პოეტური ფორმულების შესახებ ხალხურ ეპიკურ პოეზიაში.

(გ) ტროას ომი თანამედროვე მეცნიერების მიერ ისტორიულ ფაქტად არის აღიარებული.

(დ) წარსულის რეკონსტრუქციისათვის ფასეულია ზეპირსიტყვიერებაში დადასტურებულ ფორმულებში დაკონსერვებული ისტორიული ინფორმაცია.

(ე) ჰომეროსის პოემებში შემონახულია უამრავი ცნობა მიკენური ცივილიზაციის შესახებ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტექსტი №2

I ადამიანი სოციალური ცხოველია, რომელიც ცხოვრების უდიდეს ნაწილს სხვა ადამიანების გარემოცვაში ატარებს. რატომ ესწრაფვიან ადამიანები სხვებთან ურთიერთობას? ამ შეკითხვაზე პასუხს იძლევა კვლევები ადამიანის სხვა ადამიანთა საზოგადოებისაკენ სწრაფვის, ანუ **აფილაციის** ტენდენციის შესახებ.

II 1950-იან წლებში **შეხტერმა** ჩაატარა ექსპერიმენტები იმ ფაქტორების გამოსავლენად, რომლებიც ადამიანის სხვა ადამიანებთან ერთად ყოფნის სურვილს აძლიერებდა. შეხტერის აზრით, ადამიანი სხვებისაკენ მიილტვის, რათა შიშის გრძნობა დათრგუნოს. მის ექსპერიმენტში ცდისპირები ხვდებოდნენ სხვადასხვა ვითარებაში, რის შედეგადაც ერთ ნაწილს შიშის ძლიერი, ხოლო მეორეს – შიშის სუსტი განცდა ეუფლებოდა. აღმოჩნდა, რომ ცდისპირთა ეს ორი ჯგუფი განსხვავებული ინტენსივობით მიისწრაფვოდა ადამიანების საზოგადოებისაკენ. ძლიერი შიშით შეპყრობილი ადამიანები უფრო მეტად ცდილობდნენ სხვების გარემოცვაში მოხვედრას.

III მკვლევრებმა აფილაციის ორი შესაძლო ახსნა შემოგვთავაზეს. პირველი ჰიპოთეზა დაკავშირებულია **ყურადღების გადატანასთან** და გულისხმობს, რომ შიშით შეპყრობილი ადამიანები მიისწრაფვიან სხვებთან ურთიერთობისაკენ, რათა ცოტა ხნით მაინც დაივიწყონ საკუთარი პრობლემები. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ვისთან ექნებათ მათ ურთიერთობა, ამისათვის პრაქტიკულად ყველა „სხვა“ გამოდგება. მეორე ჰიპოთეზა ემყარება **სოციალური შედარების** თეორიას, რომლის თანახმად, ადამიანები ცდილობენ შეადარონ საკუთარი განცდები და რეაქციები ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი ადამიანების განცდებსა და რეაქციებს. ამ შემთხვევაში ადამიანები ცდილობენ აფილაციას იმ ადამიანებთან, რომლებიც მათ მსგავს ვითარებაში არიან. მკვლევართა ნაწილი ამას იმით ხსნის, რომ ახალ, უჩვეულო სიტუაციაში ადამიანს ხშირად ეუფლება შფოთვა, შიში იმის გამო, რომ მან არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს. ამიტომ ის სხვა ადამიანებს მიმართავს, როგორც ინფორმაციის წყაროს.

IV ყოველდღიურ ცხოვრებაში ინდივიდები კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად ცდილობენ აფილაციისა და ოპტიმალური სიახლოვის შენარჩუნებას სხვა ადამიანებთან. არსებობს, აგრეთვე, ინდივიდუალური განსხვავებები, მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი ზოგადად უფრო კომუნიკაბელურია. გარდა ამისა, მისწრაფება აფილაციისაკენ იცვლება თავად სიტუაციის მიხედვით: არსებობს სიტუაციები, როდესაც კომუნიკაბელურ ადამიანსაც კი სურს მარტო დარჩენა, ასევე შემთხვევები, როდესაც თითქმის ნებისმიერს უჩნდება ადამიანების საზოგადოებაში ყოფნის მოთხოვნილება.

ტექსტის გაგრძელება ->

V **ვეისმა** გააანალიზა, რატომ მიისწრაფვიან ადამიანები აფილაციისაკენ, ანუ რის მიღებას ცდილობენ ისინი სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. მან გამოყო ინდივიდის მიერ სხვებთან ურთიერთობის შედეგად მიღებული სარგებლის ძირითადი ტიპები:

- *მიჯაჭვულობა* – უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა, რომელსაც უახლოეს ადამიანებთან ურთიერთობით ვიღებთ.
- *სოციალური ინტეგრაცია* – განცდა იმისა, რომ სხვა ადამიანები იზიარებენ ჩვენს ინტერესებს, შეხედულებებს, განწყობებს, დამოკიდებულებებს. ეს წარმოშობს ჯგუფისადმი საკუთარი მიკუთვნებულობის განცდას.
- *საკუთარი მნიშვნელობის განცდა* – ეს განცდა ჩნდება მაშინ, როდესაც სხვების მხრიდან ვიღებთ დასტურს საკუთარი კომპეტენტურობისა და მნიშვნელობის შესახებ.
- *საიმედო მხარდაჭერა* – იმის გაცნობიერება, რომ ირგვლივ ისეთი ადამიანები არსებობენ, რომლებიც მზად არიან დაგვეხმარონ გაჭირვების ჟამს.
- *რჩევის მიღების შესაძლებლობა* – ეს განცდა ჩნდება ისეთ ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად, რომლებსაც მივმართავთ ინფორმაციისა და რჩევის მისაღებად (აღმზრდელები, პედაგოგები, ექიმები და ა. შ.).
- *სხვებზე ზრუნვა* – პასუხისმგებლობა სხვა პირის კეთილდღეობაზე, რაც გვიჩენს საკუთარი აუცილებლობისა და მნიშვნელობის განცდას.

VI სოციალური ურთიერთობების კვლევა ადასტურებს, რომ ადამიანური ურთიერთობების უპირატესობანი უაღრესად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, და რომ არ არსებობს ურთიერთობის ერთი უნიკალური ტიპი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ყველა სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. შესაბამისად, ჯანმრთელი და სრულფასოვანი სოციალური ცხოვრების უზრუნველყოფა შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის სოციალური ურთიერთობებით, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ ადამიანის მოთხოვნილებათა ფართო სპექტრი.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: „სოციალური ფსიქოლოგია“ - თარგმანი, თსუ; “Social Psychology“, Shelley E. Taylor, L. A. Peplau, D.O. Sears, 2006.

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) მიმოიხილოს აფილაციასთან დაკავშირებული კვლევები და ექსპერიმენტები.

(ბ) განიხილოს ადამიანებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების ტიპები.

(გ) გააანალიზოს, თუ რატომ არის სასარგებლო ადამიანებისათვის მრავალფეროვანი სოციალური ურთიერთობები.

(დ) დაასაბუთოს, რომ აფილაცია ძლიერდება მაშინ, როდესაც ადამიანები შიშის ან გაურკვევლობის მდგომარეობაში არიან.

(ე) მიმოიხილოს, თუ რა იწვევს აფილაციას და რა სარგებელი მოაქვს მას ადამიანისათვის.

9. ერთ-ერთ კვლევაში ქალები, რომლებიც არათავდაჯერებულნი და თავიანთი ქორწინებით უკმაყოფილონი იყვნენ, შეადარეს თავდაჯერებულ და საკუთარი ქორწინებით კმაყოფილ ქალებს.

ტექსტის მიხედვით უფრო მოსალოდნელია, რომ ამ კვლევის შედეგად გამოვლინდეს შემდეგი:

(ა) არათავდაჯერებული და ქორწინებით უკმაყოფილო ქალები უფრო მეტად მიისწრაფვიან აფილაციისაკენ, ვიდრე ქორწინებით კმაყოფილნი და თავდაჯერებულნი.

(ბ) თავდაჯერებული და ქორწინებით კმაყოფილი ქალები უფრო მეტად მიისწრაფვიან აფილაციისაკენ, ვიდრე ქორწინებით უკმაყოფილონი და არათავდაჯერებულნი.

(გ) აფილაციის თვალსაზრისით ქალების ამ ორ კატეგორიას შორის განსხვავება არ არის.

(დ) საზოგადოება ქორწინებით უკმაყოფილო და არათავდაჯერებულ ქალებს უფრო მეტად უგდებს ყურს, ვიდრე თავდაჯერებულებსა და ქორწინებით კმაყოფილებს.

(ე) ქორწინებით კმაყოფილი ქალები თავიანთი ქორწინების შესახებ სხვებთან უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ქორწინებით უკმაყოფილონი.

10. პაციენტს, რომელსაც კორონარული შუნტირების ოპერაცია უნდა გაუკეთონ, ეძლევა საშუალება აირჩიოს, ვინ იწვება მასთან პალატაში:

I. პაციენტი, რომელმაც ოპერაცია უნდა გაიკეთოს თირკმელზე.

II. პაციენტი, რომელსაც იგივე ოპერაცია უკვე გაკეთებული აქვს.

III. პაციენტი, რომელსაც გულზე სხვა ტიპის ოპერაცია აქვს გაკეთებული.

სოციალური შედარების თეორიის მიხედვით, ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ პაციენტი აირჩევს პალატაში ყოფნას:

(ა) მარტო.

(ბ) მხოლოდ I პაციენტთან.

(გ) მხოლოდ II პაციენტთან.

(დ) მხოლოდ III პაციენტთან.

(ე) ჩამოთვლილთაგან არცერთთან.

11. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობამ შეიძლება გაგვიჩინოს სიახლოვისა და დაცულობის გრძნობა, მაგრამ ვერ გაგვიჩენს სოციალური ინტეგრაციის – ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდას. მასწავლებელს შეუძლია გაგვიწიოს ხელმძღვანელობა სწავლაში ან რჩევა მოგვცეს კარიერასთან დაკავშირებით, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღმოგვიჩინოს მხარდაჭერა – გვასესხოს ფული ან წაგვიყვანოს აეროპორტში.

რომელ აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებას უკავშირდება ყველაზე მეტად მოცემული მაგალითები?

(ა) II

(ბ) III

(გ) IV

(დ) V

(ე) VI

12. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) შიშის შემცირება შესაძლებელია გარშემომყოფებზე ყურადღების გადატანით ან სხვებისაგან რჩევის მიღებით.

(ბ) აფილაციის ტენდენციაზე ადამიანების ინდივიდუალური მახასიათებლები გავლენას არ ახდენს.

(გ) არსებობს სოციალური ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ადამიანის ყველა სოციალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

(დ) ადამიანი მარტოობისკენაა მიდრეკილი, მას სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სოციალური ურთიერთობებით არ შეუძლია.

(ე) ვეისი, ისევე როგორც შეხტერი, მიიჩნევს, რომ ადამიანის სხვა ადამიანებთან ერთად ყოფნის სურვილის ერთადერთი საფუძველი შიშის განცდაა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

13. მეცნიერი გარემოცულია კოლეგებითა და მოწაფეებით, რომლებიც იზიარებენ მის პოზიციას, შეხედულებებს სამეცნიერო საკითხების შესახებ, ყურადღებით უსმენენ მის მოხსენებას და დადებითად აფასებენ მისი ახალი კვლევის შედეგებს.

მეცნიერის რომელი სოციალური მოთხოვნილებებია შესრულებული აღწერილ შემთხვევაში?

(ა) მიჯაჭვულობისა და საიმედო მხარდაჭერის.

(ბ) სოციალური ინტეგრაციისა და საკუთარი მნიშვნელობის განცდის.

(გ) საიმედო მხარდაჭერისა და რჩევის მიღების.

(დ) სხვებზე ზრუნვისა და რჩევის მიღების.

(ე) სხვებზე ზრუნვისა და მიჯაჭვულობის.

14. ტექსტის ბოლო აბზაცში:

(ა) დასმულია ახალი საკითხი ტექსტში განხილულ ძირითად თემასთან დაკავშირებით.

(ბ) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება წინა აბზაცში განხილულ არგუმენტებს.

(გ) შეჯამებულია ტექსტში განხილული საკითხი.

(დ) მოყვანილია წინა აბზაცში განხილული საკითხის საპირისპირო არგუმენტი.

(ე) მოყვანილია მაგალითები წინა აბზაცში დასმული საკითხის გასამყარებლად.

ტექსტი №3

ხელოვნებათმცოდნეთა ყურადღება იმთავითვე მიიქცია კაპადოკიის გამოქვაბული ეკლესიების მოხატულობის ერთ-ერთმა ტიპმა – ანიკონური მხატვრობის ნიმუშებმა. ეს არის ნაკლებად დახვეწილი, მარტივი ხასიათის დეკორატიული ფიგურები, სხვადასხვა ტიპის ორნამენტები და მარტივი ფორმის ჯვრები, რომლებიც განსაკუთრებით პრიმიტიულად გამოიყურება ამ რეგიონის ეკლესიათა საგრძნობლად დახვეწილი მხატვრობის – იკონური გამოსახულებების – ღვთისმშობლის, ქრისტესა თუ წმინდანების ფრესკების ფონზე.

ანიკონური გამოსახულებების გაჩენას ეკლესიის მოხატულობაში მკვლევართა ნაწილი ბიზანტიის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, ხატმებრძოლეობას უკავშირებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია **გრეგუარის** სტატია, რომელშიც მკვლევარი კაპადოკიაში მდებარე სინასოსის წმ. ბასილის ეკლესიის მოხატულობას ხატმებრძოლეობის ეპოქით, ანუ VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს მასში დიდი რაოდენობით ანიკონური მხატვრობის ნიმუშების, განსაკუთრებით ჯვრის გამოსახულებების არსებობის გათვალისწინებით. ეკლესიაში დადასტურებული ერთ-ერთი ბერძნული წარწერის ინტერპრეტაციის შედეგად მკვლევარი ასკვნის, რომ ეკლესიის მოხატულობაში ჯვრის გამოსახულებათა სიჭარბე შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ უეჭველ მინიშნებად, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მსჯელობა ეკლესიის დეკორის ხატმებრძოლეობასთან კავშირის შესახებ.

მიდგომა აღნიშნული პრობლემის მიმართ რამდენადმე შეიცვალა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა **ჟერფანიონის** ნარკვევი. მართალია, ის აღიარებს ზოგადი კავშირის არსებობას ანიკონურ მხატვრობასა და ხატმებრძოლეობას შორის, მაგრამ, მისი ვარაუდით, ყველა ანიკონური დეკორი არ უნდა იყოს ამ მოვლენით განპირობებული, რადგან ზოგჯერ ის დატანილია ისეთ ხუროთმოძღვრულ ფორმებზე, რომლებიც X საუკუნით ან უფრო გვიანი პერიოდით თარიღდება. მკვლევარმა ხატმებრძოლეობის ეპოქას კაპადოკიის მხოლოდ ოთხი ეკლესიის მოხატულობა მიაკუთვნა, ხოლო სხვა ეკლესიებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ამგვარი სახის დეკორი გამოქვაბულ სამლოცველოთა გამომკაფავი ოსტატების მიერ უნდა ყოფილიყო შესრულებული დროებით, რათა შემდგომ ის დაფარულიყო იკონური გამოსახულებებით კარგად დახელოვნებულ ოსტატთა მიერ.

მნიშვნელოვანი ცდა ანიკონური დეკორის არატრადიციული ინტერპრეტაციისა ეკუთვნის **კომრაკს**. მისი აზრით, ანიკონურ მოხატულობათა დაკავშირება ხატმებრძოლეობასთან დიდი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს და ჯვრის გამოსახულებათა სიმრავლეს ვერ მივიჩნევთ ამ კავშირის საკმარის არგუმენტად. ჯვრის გამოსახულებით თუ ჯვრის აღმართვით წმინდანის გამოსახულების ჩანაცვლების პრაქტიკა ხატმებრძოლეობაზე ბევრად უფრო ძველი მოვლენაა, მისი წანამძღვრები ადრექრისტიანულ ეპოქაშია საგულვებელი და ადგილობრივ ხალხურ ტრადიციებს უკავშირდება. კაპადოკიური მოხატულობის ანალიზის საფუძველზე კომრაკმა

ტექსტის გაგრძელება ->

დაასკვნა, რომ გამოქვაბულ ეკლესიათა ფერწერა შემკობის ორ ეტაპს მოიცავს. პირველია ანიკონური დეკორი, რომელიც კლდეში ნაკაფი გამოქვაბულის ჯერ კიდევ შეულესავ კედლებზეა დატანილი; მეორე ეტაპია იკონური მხატვრობა, რომელიც უკვე ბათქაშზეა შესრულებული. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა: იკონური ფერწერა, რომელიც ფარავს ანიკონური მხატვრობის ნიმუშებს და რომლის დათარიღება ხერხდება მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების მიხედვით, განსაზღვრავს ანიკონური მხატვრობის ზედა ქრონოლოგიურ მიჯნას, რაც ხშირად სცდება ხატმებრძოლეობის ქრონოლოგიურ ფარგლებს. შესაბამისად, ანიკონური მოხატულობის პერიოდიზაცია არ იფარგლება ხატმებრძოლეობის დროით და ამ რიგის დეკორის არსებობის მიზეზთა ახსნა სხვაგანაა საძიებელი. კომრაკის აზრით, ანიკონური მხატვრობა იქმნებოდა დროებით, მანამ, სანამ არ გამოჩნდებოდა ოსტატი, რომელიც შეძლებდა ეკლესიის მოხატვას იკონური გამოსახულებებით. ამგვარ ოსტატთა რაოდენობა კი შუა საუკუნეებში დიდი არ იყო.

საყურადღებოა **ვარტონ-ეპშტეინის** მიერ გამოთქმული მოსაზრებები ანიკონური მხატვრობის წარმომავლობისა და მისი ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ. მისი აზრით, კაპადოკიური ეკლესიები იმდენად თვითმყოფადია, რომ მათი დაკავშირება ბიზანტიურ სამყაროში მიმდინარე პროცესებთან, როგორიცაა, მაგალითად, ხატმებრძოლეობა, გარკვეულწილად არამართებულია.

მკვლევარი უარყოფს ანიკონური მოხატულობის კავშირს ხატმებრძოლეობასთან და მიიჩნევს, რომ მოხატულობის ეს ტიპი X საუკუნის დასაწყისში, ხატმებრძოლეობის შემდგომ პერიოდშია შექმნილი, როდესაც ეკონომიკურად განსაკუთრებით შეიზღუდა კაპადოკიური მონასტრების შესაძლებლობები, რაც, თავის მხრივ, აფერხებდა იკონური გამოსახულებების შექმნას. ნაკლებ განსწავლული, შედარებით მცირე საზღაურს ჩვეული ხელოსნები თავს ართმევდნენ მხოლოდ მარტივი, გეომეტრიული ორნამენტებით ეკლესიის ინტერიერის შემკობას. ვარტონ-ეპშტეინი ასევე არ გამორიცხავს ანიკონური მხატვრობის გაჩენის ახსნას გარეშე, მაგალითად, მუსლიმური თუ იუდეური გავლენებით.

ანიკონური მხატვრობის კვლევაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე მდებარე 1103-1104 წლებით დათარიღებული ეკლესიის მხატვრობის შესწავლა, სადაც უხვად აღმოჩნდა ანიკონური მხატვრობის ნიმუშები. კიდევ ერთხელ დაისვა ანიკონური მხატვრობის წარმომავლობისა და დათარიღების საკითხის გადასინჯვის აუცილებლობა. აღმოჩნდა, რომ ანიკონური დეკორი ყოველთვის არ არის დაფარული იკონური ფერწერით, მეტიც, ზოგ შემთხვევაში ამ სახის მოხატულობის შესასრულებლად კლდეში ნაკვეთ ქვაბ-სამლოცველოთა კედლები საგანგებოდ არის დამუშავებული და ცალკეული მოტივი საგულდაგულოდ მოხაზული გაწაფული ხელით, რაც საეჭვოს ხდის თვალსაზრისს, რომ ანიკონური მოტივები კლდის გამომკაფავ ოსტატებს უნდა ეკუთვნოდეს.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ზ. სხირტლაძე, „საქართველოში ანიკონურ მოხატულობათა არსებობის პრობლემისათვის“, „ხელოვნებათმცოდნეობა“, კრებული #6, თსუ, 2005.

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) გაგვაცნოს კაპადოკიურ ეკლესიათა მოხატულობის იკონური და ანიკონური ტიპები და მათ შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემები.

(ბ) მიმოიხილოს მკვლევართა კონცეფციები ანიკონური მხატვრობის წარმომავლობისა და ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ.

(გ) გაგვაცნოს იკონური და ანიკონური მოხატულობების დათარიღებასთან დაკავშირებული პრობლემები.

(დ) განიხილოს შეხედულებები, რომლებიც უარყოფს ანიკონური მხატვრობის კავშირს ხატმებრძოლეობასთან.

(ე) გამოთქვას საკუთარი აზრი ანიკონური მხატვრობის წარმომავლობისა და ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

16. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ გამომდინარეობს</u> ტექსტიდან?

(ა) ანიკონური გამოსახულებები, ზოგ შემთხვევაში, ეკლესიის მხატვრულად მნიშვნელოვან დეკორს წარმოადგენს, რომლებიც ოსტატთა მიერ არის შესრულებული.

(ბ) ქრისტიანულ ეკლესიათა მოხატულობაზე ზეგავლენას შეიძლება ახდენდეს სხვა აღმსარებლობის ხელოვნების ნიმუშები.

(გ) ეკლესიათა მოხატულობაზე ზეგავლენას შეიძლება ახდენდეს უძველესი ხალხური ტრადიციები.

(დ) ერთი გამოსახულების მეორე გამოსახულებით გადაფარვის შემთხვევაში ხერხდება ქვედა გამოსახულების ზუსტი ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა.

(ე) გამოქვაბულ სამლოცველოთა გამომკაფავი ოსტატების მიერ შესრულებული ანიკონური მხატვრობის ნიმუშები მაღალი ოსტატობით უმეტესად არ გამოირჩევა.

17. ჟერფანიონის აზრით, რამ შეიძლება დააყენოს ეჭვქვეშ ანიკონური მხატვრობის კავშირი ხატმებრძოლეობის ეპოქასთან?

(ა) ანიკონური ნახატების არსებობამ X საუკუნის შემდგომდროინდელ არქიტექტურულ ფორმებზე.

(ბ) გამოქვებულ სამლოცველოთა კედლის დამუშავების ხარისხმა, რომელიც ზოგ შემთხვევაში ძალიან დაბალია.

(გ) ანიკონური გამოსახულებების მხატვრული შესრულების დონემ კაპადოკიის გამოქვაბულ ეკლესიებში.

(დ) კაპადოკიის ეკლესიებში დადასტურებული ანიკონური გამოსახულებების სიუხვემ იკონურ გამოსახულებებთან შედარებით.

(ე) ჯვრის გამოსახულებათა ნაკლებობამ კაპადოკიის გამოქვაბულ ეკლესიებში.

18. *ხატმებრძოლეობა, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბიზანტიურ ეკლესიაში, ქართული ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის უცხო აღმოჩნდა. საქართველოში ანიკონურ დეკორთა არსებობის ქრონოლოგიური საზღვრები VI-XI საუკუნეებს მოიცავს, რაც ეკლესიის ფერწერული შემკულობის ამ სახესხვაობის საქართველოში დამკვიდრებისა და გავრცელების სრულიად სხვა წანამძღვრების ძიებას გულისხმობს.*

წარმოდგენილი მსჯელობა ქართული ანიკონური მხატვრობის შესახებ ეხმიანება:

(ა) კომრაკის თვალსაზრისს შუა საუკუნეებში ეკლესიების მომხატველ ოსტატთა სიმცირის შესახებ.

(ბ) ვარტონ-ეპშტეინის მსჯელობას ბიზანტიაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში კაპადოკიის თვითმყოფადი ეკლესიების განხილვის შეუსაბამობის შესახებ.

(გ) ვარტონ-ეპშტეინის თვალსაზრისს ანიკონური მხატვრობის კავშირის შესახებ რეგიონის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან.

(დ) კომრაკის თვალსაზრისს ეკლესიათა ფერწერით შემკობის ეტაპების შესახებ.

(ე) ჟერფანიონის თვალსაზრისს ანიკონური მხატვრობის დათარიღებასთან დაკავშირებით.

19. რომელი მკვლევრები განიხილავენ ეკლესიის მოხატულობაში ჯვრის გამოსახვის თემას?

(ა) გრეგუარი და ვარტონ-ეპშტეინი

(ბ) ვარტონ-ეპშტეინი და ჟერფანიონი

(გ) გრეგუარი და კომრაკი

(დ) ჟერფანიონი და კომრაკი

(ე) კომრაკი და ვარტონ-ეპშტეინი

20. 1103-1104 წლებით დათარიღებული ეკლესიის შესწავლა წარმოაჩენს, რომ:

(ა) ანიკონური მხატვრობა შეიძლება არ იყოს დაკავშირებული ხატმებრძოლეობასთან.

(ბ) ანიკონური მხატვრობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1103 ან 1104 წელია.

(გ) ამ პერიოდის ეკლესიათა მომხატველები ნაკლებად ფლობდნენ თავიანთ ხელობას, ვიდრე მათი წინამორბედები.

(დ) ანიკონური და იკონური მხატვრობის ნიმუშთა ავტორები ერთი და იგივე პირები იყვნენ.

(ე) ანიკონური გამოსახულებები ყოველთვის საგანგებოდ დამუშავებულ კედლებზე იყო შესრულებული.

21. ტექსტის ბოლო აბზაცში:

(ა) შეჯამებულია ტექსტში განხილული საკითხი.

(ბ) გავრცობილია წინა აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.

(გ) შეჯამებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობა.

(დ) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება ტექსტში განხილულ მაგალითებს.

(ე) განხილულია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული ახალი საკითხი.

ტესტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21